

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აცხადებს კონკურსს შემდეგ პოზიციაზე: ბიზნეს პროცესის მართვის ორგანიზატორი

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" (UWSCG) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიაა, რომელსაც მართავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. კომპანიას საქართველოში გააჩნია 10 რეგიონული ფილიალი და 50 სერვის ცენტრი. საქართველოს მთავრობამ აზიის განვითარების ბანკისაგან (ADB) მიიღო სესხი ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის მე-2 ტრანშის დაფინანსებისათვის. კომპანია გეგმავს, რომ ამ სესხის ნაწილი გამოიყენოს საწარმოო რესურსების დაგეგმარების (ERP) კომპიუტერული პროგრამის დანერგვის საკონსულტაციო მომსახურებების ანაზღაურებისათვის.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აცხადებს კონკურსს შემდეგ პოზიციაზე: ბიზნეს პროცესის მართვის ორგანიზატორი.

დავალების მიზანი და ამოცანა:

პროექტის ფარგლებში "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას" სურს, დანერგოს საწარმოო რესურსების მართვის კომპიუტერული პროგრამა.

ამ ეტაპზე კომპანია იყენებს ოთხ სხვადასხვა სისტემას, რაც მოიცავს შემდეგს:

1. ფინანსები / ადამიანური რესურსები (საბუღალტრო აღრიცხვა, ბიუჯეტირება, ინვენტარიზაცია, ძირითადი საშუალების აღრიცხვა, შესყიდვა, ტრანსპორტი, ადამიანური რესურსები, ა.შ.) - FMG - საქართველოს ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპანიის პროდუქტი (140 მომხმარებელი);
2. ბილინგი, ინციდენტების მართვა, call center, მობილური აპლიკაცია, KPI, წყლის ხარისხის მართვა - შიდა რესურსებით შექმნილი კომპიუტერული პროგრამა (815 მომხმარებელი);
3. დოკუმენტბრუნვა - "eDocument" რომელსაც საქართველოს სამთავრობო ორგანიზაციები იყენებს (755 მომხმარებელი);
4. აქტივების მართვა - GIS (10-15 მომხმარებელი).

საწარმოო რესურსების დაგეგმარების (ERP) კომპიუტერული პროგრამის დანერგვით კომპანია გეგმავს, რომ მიაღწიოს საშუალოვადიან შედეგს:

ფინანსები / ადამიანური რესურსები (საბუღალტრო აღრიცხვა, ბიუჯეტირება, ინვენტარიზაცია, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა, შესყიდვა, ტრანსპორტი, ადამიანური რესურსები, ა.შ.), ბილინგი, ინციდენტების მართვა, call center და პროექტის მართვა გაერთიანდება ერთ სისტემაში (მოსალოდნელია 2020 წლის მარტში); გრძელვადიანი შედეგი: დოკუმენტბრუნვისა და აქტივების მართვის ინტეგრაცია ზემოხსენებულ კომბინირებულ ახალ კომპიუტერულ პროგრამასთან (მოსალოდნელია 2021 წლის მარტში).

საკონსულტაციო მომსახურებების მოცულობა:

კონსულტანტი უზრუნველყოფს ტექნიკურ და ანალიტიკურ მხარდაჭერას, ხოლო კომპანიის არსებულ პერსონალთან და ERP ექსპერტთან ერთად მოამზადებს საწარმოო რესურსების დაგეგმარების კომპიუტერული პროგრამის მოთხოვნების პაკეტს. მხარდაჭერა გულისხმობს ახალი კომპიუტერული პროგრამის დანერგვას, მათ შორის, შესაბამისი სპეციფიკაციების მომზადებასა და აღმასრულებელი ორგანოს შეფასების პროცესში დახმარებას. მას უნდა ჰქონდეს ფართო გამოცდილება ERP სისტემაში; უნდა იცნობდეს კომპიუტერული პროგრამის შექმნასთან დაკავშირებულ პრობლემებს; ჰქონდეს ძლიერი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

კონსულტანტის დავალებები მოიცავს არა მხოლოდ შემდეგს:

1. ERP კომპიუტერული პროგრამის შესაბამისი სპეციფიკაციების მომზადება;
2. დახმარება შეფასების პროცესში;
3. კომპანიის დახმარება ERP კომპიუტერული პროგრამის დანერგვისას;

დეტალური დავალებები და/ან მოსალოდნელი შედეგი:

სხვა კონსულტანტებთან და განვითარების პარტნიორებთან ერთად მუშაობით კონსულტანტი უზრუნველყოს შემდეგს:

დავალება 1: ERP კომპიუტერული პროგრამის შესაბამისი სპეციფიკაციების მომზადება:

- ** კომპანიის მიმდინარე ბიზნეს პროცესის დამუშავება;
- ** ბიზნეს პროცესის შეცვლა კომპანიის რესტრუქტურის გეგმის, ადამიანური რესურსების რეფორმის გეგმისა და ბიზნეს გეგმის მიხედვით;
- ** ხელშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, მათ შორის, ERP ან სხვა მსგავსი სისტემის დანერგვის შესაძლებლობის ნაკლებობა;
- ** ERP ან სხვა მსგავსი სისტემის დანერგვისათვის მიზანშეწონილი საშუალო და გრძელვადიანი გეგმის მომზადება - კომპიუტერული პროგრამის შესყიდვა საშუალოვადიანი გეგმის ნაწილი იქნება;
- ** ERP დანერგვის გეგმის შემოთავაზება;
- ** საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ტენდერისათვის (ICB) ERP პაკეტის შესაბამისი სპეციფიკაციებისა და ხარჯთაღრიცხვის ჩაშლის მომზადება;
- ** კონფიგურაციისა და შაბლონის გამოვლენა, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ERP პაკეტი შეესაბამებოდეს კომპანიის პოლიტიკასა და პროცედურებს;
- ** შესყიდვების დროს დაზუსტების კითხვებზე პასუხების მომზადება ტექნიკური კუთხით.

დავალება 2: დახმარება შეფასების პროცესში:

** ERP კომპიუტერული პროგრამის ტენდერის ფარგლებში მიღებული სატენდერო დოკუმენტების შეფასებაში დახმარება; კომპანიის შესყიდვების გუნდისათვის ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენა;

** ტენდერის შეფასების ანგარიშის მომზადებისას მონაწილეობის მიღება.

** დავალება 3: კომპანიის დახმარება ERP კომპიუტერული პროგრამის დანერგვისას:

** პროექტის განხორციელებისას კომპანიის პროექტის მფლობელებთან და პროექტის სხვა კონსულტანტებთან მუდმივად მჭიდრო და რეგულარული კავშირის ქონა - 2020 წლის მარტი;

** მფლობელობის, მათ შორის, ტექნიკური უზრუნველყოფის, სრული ხარჯების მაღალი დონის გამოთვლის უზრუნველყოფა;

** ERP დანერგვის პროგრესისა და საბოლოო შედეგების შეფასება.

მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ბოლო 8 წლის განმავლობაში კონსულტანტს დანერგილი უნდა ჰქონდეს სულ მცირე 2 ERP კომპიუტერული პროგრამა, რაც დასაბუთებულია ნამსახურების ნუსხით. ინგლისური ენის სამუშაო დონეზე ცოდნა აუცილებელია. მიზანშეწონილია ADB-თან მუშაობის გამოცდილება.

სავარაუდო ხანგრძლივობა: კონტრაქტის საერთო ხანგრძლივობა იქნება დაახლოებით 18 თვე.

სავარაუდო დრო: 40 კაცი/დღე, საიდანაც 30 კაცი/დღე საველიედ (საქართველოში) და 10 კაცი/დღე სახლში.

კონსულტანტის მთლიანი ანაზღაურება შეადგენს მაქსიმუმ 69 720 აშშ დოლარს.

დაინტერესებულმა პირებმა 2019 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით გამოაგზავნეთ რეზიუმე (CV) შემდეგ მისამართზე konkursi@water.gov.ge და გთხოვთ, წერილის სათაურში მიუთითოთ პოზიციის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება.

დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

გისურვებთ წარმატებას!